

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდგომში-„კონსერვატორია“) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში -„სამსახური“) არის კონსერვატორიის მართვის ორგანო.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონით „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებით“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდებით, კონსერვატორიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, ამ დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებას აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭო.

4. კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო, ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის საქმიანობის სფერო და ამოცანებია:

1.1. კონსერვატორიაში მიმდინარე სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;

1.2. სწავლის, სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

1.3. უმაღლესი განათლების საერთაშორისო სივრცეში კონსერვატორიის ჩართულობის ხელშეწყობა;

1.4. მართვის პროცესების გაუმჯობესების ხელშეწყობა;

1.5. კანონმდებლობით დადგენილი საავტორიზაციო და სააკრედიტაციო მოთხოვნების შესაბამისობის დაცვა.

2. სამსახურის ფუნქციებია:

2.1. კონსერვატორიის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, ასევე პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების შემუშავება;

2.3. ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციისათვის თვითშეფასების პროცესების ორგანიზება;

2.4. პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული პროცესების ორგანიზება და პროცესში მონაწილეობა;

2.5. ავტორიზაციასთან დაკავშირებული პროცესების ორგანიზება და პროცესში მონაწილეობა;

2.6. კონსერვატორიაში სასწავლო, კვლევით და შემოქმედებით პროცესებთან დაკავშირებული სტანდარტების, მოთხოვნების, რეგულაციების წესების შემუშავებაში მონაწილეობა;

2.7.კონსერვატორიაში კვლევის, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვაში მონაწილეობა;

2.8.კურიკულუმის შექმნის, შეფასებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობა;

2.9.საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული და უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება;

2.10.შემუშავებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძველზე პროგრამების მონიტორინგისა და ექსპერტიზის ორგანიზება ქართველ და უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობით;

2.11.საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგად, პროგრამების ხელმძღვანელებისთვის კონსერვატორიის ფაკულტეტებისა და აკადემიურ საბჭოსთვის რეკომენდაციების შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე;

2.12.სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი მუშაობის, აგრეთვე კონსერვატორიის პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემური შეფასების წესის შემუშავებაში მონაწილეობა;

2.13.სასწავლო პროცესთან, სამეცნიერო კვლევებთან, შემოქმედებით საქმიანობასთან ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების პროცესში მონაწილეობა;

2.14.თანამშრომლობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან მათი საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით და ხარისხის მართვის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;

2.15.უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების - დიპლომებისა და დიპლომების დანართების შევსების წესის შემუშავება და დიპლომის დანართის შედგენასა და მომზადების პროცესში მონაწილეობა;

2.16. მონაწილეობა მობილობის ფარგლებში პროგრამული თავსებადობის დადგენისა და კრედიტების აღიარების პროცესებში სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში;

2.17. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ზედამხედველობა/ კოორდინირება, კონსულტაცია და სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;

2.18. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისათვის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ნორმატიული დოკუმენტების, ასევე მასში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება;

2.19. სამსახურის ფუნქციებთან და ამოცანებთან დაკავშირებული კორესპონდენციის, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადება;

2.20. სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვის კითხვარების შემუშავება, გამოკითხვის ორგანიზება, გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება პრობლემების მოგვარების მიზნით;

2.21. კონსერვატორიის აკადემიური და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზნით გამოკითხვის ორგანიზება, გამოკითხვის შედეგების გაცნობა შესაბამისი სტრუქტურებისთვის; ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება ფაკულტეტისა და კონსერვატორიის ადმინისტრაციისთვის მათი საქმიანობის სრულყოფის მიზნით;

2.22. კონსერვატორიის საქმიანობისა და ფუნქციონირების შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან, საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებების ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებთან და დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის სტუდენტებთან ერთად;

2.23. კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ კოორდინატორებთან სხვა პასუხისმგებელ და დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის სტუდენტებთან ერთად;

2.24.საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, კონსერვატორიის აკადემიურ პესონალთან კურიკულუმის შემუშავებასთან და პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

2.25.კონსერვატორიის საქმიანობის სხვადასხვა სფეროების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ადმინისტრაციულ პერსონალთან საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;

2.26.კონსერვატორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან და კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის რეკომენდაციების წარდგენა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე;

2.27.კონსერვატორიის წესდებით, რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოს დადგენილებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში;

2.28.აკადემიური საბჭოს დადგენილებების და რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

2.29.შემოსულ კორესპონდენციებზე საპასუხო წერილების მომზადება.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და კონსერვატორიის წესდებით დადგენილი წესით, აკადემიური საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

2. ხარისხის სამსახურის უფროსი შეიძლება იყოს კონსერვატორიის სრული ან ასოცირებული პროფესორი.

3. ხარისხის სამსახურის უფროსისათვის წასაყენებელი სხვა მოთხოვნები განისაზღვრება კონსერვატორიის მიერ.

4. ხარისხის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 4 წლით.

5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალია: სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე, საჭიროების შემთხვევაში სამსახურში შეიძლება მოწვეული იყოს სპეციალისტი.
6. ხარისხის სამსახურის უფროსის წარდგინებით, სამსახურის უფროსის მოადგილეს ნიშნავს რექტორი.
7. ხარისხის სამსახურის უფროსის მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ასრულებს სამსახურის უფროსის მოადგილე, რაც განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. სამსახურის უფროსი:

1. წარმართავს სამსახურის საქმიანობას კონსერვატორიის წესდებისა და სამსახურის დებულების შესაბამისად;
2. წარმოადგენს სამსახურს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია დაკისრებული ფუნქციების და ამოცანების შესრულებაზე;
3. წარმოადგენს სამსახურს კონსერვატორიის მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სამსახურებთან, ხოლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს კონსერვატორიას მესამე პირებთან ურთიერთობისას;
4. ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
5. წარმართავს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობას;
6. ხელმძღვანელობს სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას;
7. წარმართავს კონსერვატორიაში მიმდინარე სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს;
8. წარმართავს სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმების შემუშავების პროცესს;

9. წარმართავს სასწავლო, შემოქმედებით და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში ჩართული პერსონალის შეფასების პროცესს;
10. ორგანიზებას უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თვითშეფასების პროცესებს;
11. მონაწილეობს საერთაშორისო სახელოვნებო, საგანამანთლებლო სივრცეში კონსერვატორიის ჩართულობის ხელშეწყობის პროცესებში;
12. საქართველოს კანონმდებლობით და კონსერვატორიის წესდებით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

5. სამსახურის უფროსის მოადგილე:

1. ორგანიზებას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან სამუშაო შეხვედრებს, ასრულებს სამსახურის დებულებით მასზე დაკისრებულ ფუნქციებს;
2. კონსერვატორიის ფაკულტეტებიდან (მათში შემავალი ერთეულებიდან) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებიდან გამოითხოვს კვარტალურ ანგარიშებს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს საქმიანობის ანგარიშს, ახდენს ერთეულების მუშაობის ეფექტიანობის შეფასებას, ამზადებს დასკვნის პროექტს და წარუდგენს სამსახურის უფროსს;
3. მონაწილეობს კონსერვატორიაში სწავლა-სწავლების, კვლევის და შემოქმედების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების შემუშავებაში;
4. მონაწილეობს კონსერვატორიაში სასწავლო, კვლევით და შემოქმედებით პროცესებთან დაკავშირებული სტანდარტების, მოთხოვნების, რეგულაციების წესების შემუშავებაში;
5. მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი მუშაობის შეფასების წესის შემუშავებაში;
6. მონაწილეობს პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებულ პროცესში;
7. მონაწილეობს კონსერვატორიაში მიმდინარე სასწავლო და კვლევითი პროცესების შეფასებაში;
8. მონაწილეობს კურიკულუმის შექმნის, შეფასების და განვითარების პროცესში;

9. მონაწილეობს კონსერვატორიაში კვლევის, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის პროცესში;
10. მონაწილეობს ავტორიზაციის პროცესებში საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით;
11. მონაწილეობს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების კოორდინირებისა და კონსულტირების, ასევე სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობის პროცესებში;
12. მონაწილეობს კითხვარების შემუშავებში, გამოკითხვების ორგანიზებასა და შედეგების შეფასებაში;
13. მონაწილეობს შემოსულ კორესპონდენციებზე საპასუხო წერილების მომზადებაში.

მუხლი 6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.